

ასაკო
50-1 კლასი 15.03.05 წელი

სარკე
2005 წელს 15.03.05
მოქმედი პირნი: ორი მოხუცი ქალი, 70 წლის ზემოთ.

2006 წელს
ლალა - მაღალი, ფორმებიანი (მიუხედავად ასაკისა), ახალგაზრდობაში, ალბათ, ძალიან ლამაზი.

20 აპრილი
ჩიო - კაფანდარა, ხმელი (კაბა რომ არ ეცვას, სქესს ვერც ხმით და ვერც გარეგნობით ვერ დაადგენ).

დილა.
№ 378 ქალი

მოქმედება ხდება ბაღში, სადაც ერთი გრძელი, საზურგისანი სკამი დგას.

მოხუცები ბაღში ქოშინით შემოდინან, როგორც ჩანს, დიდხანს იარეს.

ჩიოს ხელში პატარა ჩანთა უჭირავს, რომელიც ისეა დატენილი, რომ არ იკეტება, დიდხანს ეძებს ჩანთის ადგილს. ლალა აღტაცებული ათვალიერებს იქაურობას, ბოლოს ორივე სკამზე ჯდება.

ჩიო: - ესეც ასე!..

ლალა: - სუნი?!.. როგორი ოი?!.. ჰაერი.

ჩიო: - ზუსტად ესეთ ადგილს ვეძებდი.

ლალა: - სარკე?!.. გაქვს სარკე?

ჩიო: - ხო ვამბობდი, სკამი არის მეთქი... აი, სკამი.

ლალა: - მე... იცი რაა?!.. ვიცოდი.

ჩიო: - რა იცოდი? იცოდი არა, ისა.

ლალა: - არა კაცო, როგორ?

ჩიო: - ეხლა რა უნდა გავაკეთოთ დ... ზემო...

ლალა: - ძალიან კარგი, არა?!.. მე მგონი, არა?

ჩიო: - შენი სახელი დამავიწყდა?

ლალა: - რატომ?

2004 წელი
2005 წელს 15.03.05

ჩიო რა რატომ? დამავიწყდა, არ შეიძლება? ორი დღეა, რაც დამავიწყდა შეიძლება?

ლალა: - მა-მა-მა (იციანის), მეც.

ჩიო: - რა მენც?

ლალა: - არ ვიცი?

ჩიო: - ჯიბრში მიდგები, არა?

ლალა: - რატომ?

ჩიო: - აბა, არ ამბობ, რა გქვია?

ლალა: - ლალა.

ჩიო: - ლალა!.. მერე თქვი... არ ვიციო, იტყუები აქ...

ლალა: - არა, არ ვიცი.

ჩიო: - რა არ იცი?... სახელი?

ლალა: - სახელი?

ჩიო: - უ-ტუ-ტუ-ტუ, აფრენ?

ლალა: - აი, შენ თვითონ უ-ტუ-ტუ-ტუ... რა კარგია, არა?

ჩიო: - ახალი ამბავი?!... ჰმ! მაშ, მე რა ვთქვი?

ლალა: - როდის?

ჩიო: - გამახსენე შენი სახელი?

ლალა: - არ ვიცი.

ჩიო: - არ იცი და არცა მჭირდება! (ბრაზდება.)

ლალა: - ნუ, მერე რაა, რატომ? (ჩიო არ იმჩნევს, ჩანთას ხსნის, თან ხრინწიანი ხმით ლილინებს, სარკეს ამოიღებს, საკუთარ თავს გულმოდგინედ სვეირდება.)

ლალა: - მომეცი, რაა?!

ჩიო: - ააა?!.. ვერ გაძელი, არა?!

ლალა: - არა.

ჩიო: - რა არა?

ლალა: - არა, მომეცი?!

ჩიო: - ვერ ხედავ, რომ მჭირდება?! (ისევ ლილინებს.)

ლალა: - მერე, მერე... ეხლა კი არა... მერე, ხო? როცა შენ მორჩები.

ჩიო: - მე არ მოვრჩები, ბევრი საქმე მაქვს.

ღალა: - სადა, კაცო?

იო: - აქა, აქა. აჰა!.. ჩაიხედე (მიაჩეჩებს სარკეს, ღალა სიხარულს - ართმევს). უ, რა ამბავია ახლა ატეხილი? ოჰო, ჰო-ჰო-ჰო.

ღალა: - სადა, კაცო?

იო: - გვეძებონ და გვეძებონ, რო გასკდნენ, მაინც ვერ გვიპოვნია. ღა-ლა-ლა-რა-რა. გვეძებონ და გვეძებონ, აი, ეგრე?! ღა-ლა-ლა.

ღალა: - ნნუ, ნნუ, ნნუ (აჰყვება სიმღერაში, თან სარკეს არ აცილებს თვალს). ოჰ, რა კაია!

იო: - აბა, მაჩვენე! (ჩაიხედავს და ისევ უბრუნებს) არ გატეხო!

ღალა: - არა, როგორ?...

იო: - მე რა ვიცი, როგორ? არ გატეხო-მეტეო... შენ ღვიჯაგში. ტახო, ხო იცი არა, სანყალი, რა ახალგაზრდა მოკვდა. *შეიყვარება*

ღალა: - როგორ, მერე?

იო: - კარგად მღეროდა, იცი, როგორ მღეროდა?..

ღალა: - კარგად მღეროდა.

იო: - ... რო მაჩუქა ქიშმირის წერილყვავილებიანი კაბა... რო მაჩუქა, აი, აქ (ყელთან ისვამს ხელს).

ღალა: - აქ იყო ბროშკა, ოი, რა ლამაზი?!.. ჰმ!

იო: - აქ არა, აქ იყო (მხართან იდებს ხელს).

ღალა: - ჰა-ჰა-ჰა, როგორ, კაცო?

იო: - შენ მასწავლი?! მომეცი სარკე.

ღალა: - ჰმ, კი ბატონო, ... იცი რაა? სახლი სად არი?

იო: - სახლში მოგინდა?! ჰკი ხმას არ ამოვიღებ, ოღონდ წამიყვანეო...
ეხლა ფიშტ, სახლი აღარ არის, რად გინდა სახლი? აქ უფრო კარგი არ არის? ა? არ არის კარგი?

ღალა: - კარგი არის.

იო: - რედიკულიც აქა მაქვს, კარტი ჩავდე? სად არის ჩემი კარტი, შენ აილე?

ღალა: - ავიღე.

იო: - რატომ აილე ჩემი კარტი დაუკითხავად?

ღალა: - მე? როგორ? ჰმ!

იო: - მერე, არ უნდა მითხრა?

ღალა: - გითხარი... ხო გითხარი.

ჩიო: - ჰმ! მითხრა?!.. კარგ დროს მეუბნები (ჩიო ფეხებს აქნევს, თან ზედ იყურება კაბას ცოტა მაღლა ასწევს და თავის ფეხებს კარგად დააკვირდება. ღალაც დააკვირდება მის ფეხებს, მერე თავისას და ისიც ფეხების ქნევას დაიწყებს).

ღალა: - ჰა-ჰა-ჰა.

ჩიო (ჩინთას ხსენს და სარკეს ჩადებს რაღაცა დაინახავს და ისევ გახსნის. კარტს ამოიღებს): - აქა ყოფილა: რა ტყუილად მაძებნი-ნებდი? ძებნა იქ უნდა ნახო, მილიცია, პოლიცია, ძალები (მეძებარი ძაღლივით დაყნოსავს ღალას). დიდი შაყრბაში ვინაა ჩაი

ღალა: - ჰა-ჰა-ჰა-ჰა.

ჩიო: - ოთახში არ არიან, აივანზე არ არიან, ტუალეტში არ არიან, სა-წოლის ქვეშ არ არიან, არსად არ არიან, ფა-ფუუუ.

ღალა: - ხოო, ეხლა იქით, აქეთ, სად არის, ესა, ისა... ფაფუუ, ჩვენ კიდე აქ!.. არა?

ჩიო: - გვეძებონ, რამდენიც უნდათ, ძლივს სუფთა ჰაერზე გამოვედით, არა? *ბო სახლია*

ღალა: - არა.

ჩიო: - როგორ თუ არა, აბა, იმ ოთახში ჯობდა, დამწყვედელი რომ იყავი, თუ აქა?

ღალა: - აქა? *აქა აქა*

ჩიო: - იცი, რამდენჯერ ვუთხარი?.. რა იქნება, რო მიდიხართ, მეც წა-მიყვანეთ, სადმე პარკში დამტოვეთ... უკან წამოხვალთ, წამოგ-ყვებით, არც საჭმელი მინდა, არც სასმელი, ერთ ვაშლს ჩავიგ-დებ ჩანთაში. რა, არ შეიძლებოდა?!.. ა?!

ღალა: - აბა რაა!

ჩიო: - ცუდია, ახლა აქ რო ვართ? *ბო და მაგისი წეს ვხეი აქ*

ღალა: - რატომ?!

ჩიო: - გეუბნები, ვერც გვიპოვნია, თავში აზრადაც არ მოუვათ, რომ აქა ვართ, მთელი ღამე!.. ეე, რას ამბობ?!

ღალა: - რას ვამბობ? *ჰმ აა ა*

ჩიო: - სამ-ოთხ საათამდე შეიძლება ვერც გაიგეს, არაა?

ლალა: - არა.

ჩიო: - მაგ დროს წვებიან? შემოიხედავდნენ და ფაფუ...
ლალა: - ფაფუ... კარგია, იცი რა, მომეცი რაა, სარკე! შეიძლება?

ჩიო: - იქნებ, სძინავთ? შეიძლება ღამე ვერც გაიგეს, თუ არ შემოიხედეს?..
ლალა: - რატომაც არა.

ჩიო: - მეც ეგრე მგონია, შემოიხედავდნენ, შენ ჯერ მაინც ახალი ხარ, გული არ გაუძლებდათ. რას იტყვი?

ლალა: - სარკე... მომეცი, კარგი?

ჩიო: - თუ ვერ გაიგეს, მაშინ... ჯერ ისევ სძინავთ.

ლალა: - ვისა?

ჩიო: - შენ ბიჭს და ჩემს ქალიშვილს.

ლალა: - სად?

ჩიო: - თუ ბიჭია ჩემი და ქალი შენი?

ლალა: - არა! ჩემი ბიჭი!.. იცი, როგორი იყო? პატარა ოი, ოი, ოი, ესეთი თმები, ეჰ, რა კაი?!.. ჩემი ბიჭი! *ჩემი ბიჭი ხო შიშა*

ჩიო: - ჰო, სწორი ხარ (ლალა წამოდგება და ფოთოლს აიღებს, მეორეს, მესამეს. ჩიო ვერ ამჩნევს, ფიქრებშია წასული. ერთ წერტილში იყურება, ლალა მეორე მხრიდან მოადგება და მხარზე ნაზად შეახებს ხელს, რომ ფოთლები აჩვენოს).

ჩიო: - ააა! ააა! (მთელი ძალით დაიკივლებს.)

ლალა: - ააა! (მასაც შეეშინდება ჩიოს კივილზე.)

ჩიო: - რატომ შემაშინე?

ლალა: - მე?

ჩიო: - ესე მიხდი, არა, სიკეთეს?!.. ერთი დამეტოვებინე მარტო?... ესე მიხდი, არა?

ლალა: - მე?

ჩიო: - რა გქვია შენ?... ვინცა ხარ ერთი, დამაცადე!.. ეს რა მიქნა, დამაცადე!

ლალა: - გაბრაზდი?!.. რატომ?!.. მიყვირე...

ჩიო: - მე გიყვირე? მე გიყვირე? ერთი ამას უყურე?!

ლალა: - აბა? - ააა! - შენ ყვიროდი.

ჩიო: - მე ყვიროდი? ვინც ახლა ჩვენს შორის მტყუან-მართალი იყოს?!..

მე ვი ახ ვყვირე შენ გამაყვირე
77

ლალა: - იცი?... ტუალეტი... სად არის?

ჩიო: - მე რა ვიცი.

ლალა (წამოდგება): - არა?!..

ჩიო: - დაჯექი, გესმის? მე მოვნახავ (ჩიო მიდის, ცოტა ხანში სკამის უკნიდან ამოყოფს თავს).

ჩიო: - უუუ (დაიყვირებს და ისე იცინის, ბუირობდა, სკამს შემოუფლის, კაბატრუსებში აქვს ჩატანებული). *ნათიკი აქაი სახი*

ლალა: - უ-უ-უ კარგია, ესეც კარგია! ჰმ! (ჯიბიდან სიგარეტს ამოიღებს და პირში ჩაიდებს, ვითომ ბოლს უშვებს). *იქნა მოვტყე*

ჩიო: - აღარ გინდა, თუ უკვე შიშისგან გაგებარა? (ლალა ერთს ვად-მონედავს შემოდან დაიმაფეს გააგრძელებს.)

ჩიო: - ვის მოჰპარე? თქვი, ვის მოჰპარე პაპიროსი?

ლალა: - რატომ?

ჩიო: - ქურდოო, ქურდოო, პაპიროსის ქურდოო...

ლალა: - ტრა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა.

ჩიო: - აბა, მონიე, მონიე, მატრაკვეცა.

ლალა: - სადა?

ჩიო: - სადა და აქა.

ლალა: - ის არ არის?... ფიშ, ფიშ (ასანთიო, ანიშნებს).

ჩიო: - ტრა-ტა-ტა (ჩანთას გახსნის და ასანთს ამოიღებს, გაჰკრავს და უყურებს, როგორ იწეება). ტრა-ტა-ტა.

ლალა: - მოიტა, რაა?

ჩიო: - ვერ მოგცემ, მჭირდება, უასანთოდ ხომ არ...

ლალა: - მოდი, რაა, გეხვეწები, მიდი-დი რაა?!

ჩიო: - ...დავ-რჩე-ბით (ერთიდან მეორე ასანთზე მოუკიდებს). მართლარომ დავიკარგოთ, კოცონი არ უნდა დავანთოთ? დღეს შეიძლება აცივდეს... შენ გახსოვს, საით არის ჩვენი სახლი? (დამარცვლით, წამ-ლერებით).

ლალა: - მოიტა რაა... კაი რაა... (სიგარეტით პირში ასანთის კენ მოძრაობს.)

ჩიო: - ოო, აჰა, აჰა (მოუკიდებს).

ლალა: - უჰ, რა კარგია, ეეჰ... კაია.

ჩიო: - მოგწონს შენი თავი? მატრაკვეცა! დიდი ვინმე გგონია თავი, ჰმ!

ლალა: - რატომ?

ჩიო: - მერავიცი?... რალაც ისე!.. (~~გამოავადრებს~~) ფუ-ფუუუ, ფუ-ფუ-ფუ.

ლალა: - აჰა, შენ (~~სთავაზობს~~).

ჩიო: - გასწი, ფუჰ, მაგას ჩავიდებ პირში?! გასწი...

ლალა: - Так, так, так... ничего?!..

ჩიო: - რას იმუქრები?

ლალა: - რატომ? არა?... მეე?

ჩიო: - ჰოო, შენ! იმუქრები. ეხლა ატკაზზე არ გახვიდე.

ლალა: - მერე რაა?

ჩიო: - მე უყმურებს და უხასიათოებს და შპიონებს ვერ ვიტან.

ლალა: - არა კაცო, არც მე.

ჩიო: - არც შენ? (~~ფეხით ნაცემოდებს ტარიან პაპიროსს, საგულდა-გულად დამალულს და გააბოლებს~~).

ჩიო: - შენ სად უნდა დაიძინო?

ლალა: - არა?

ჩიო: - რა არა? სად უნდა დაიძინო? ისევ ჩემს ოთახში?

ლალა: - იტყვის.

ჩიო: - ვინ იტყვის?! ვერავინ ვერ იტყვის!.. თუ გინდა დარჩი... გინდა?

ლალა: - მინდა.

ჩიო: - აქამდე მეორე ბიჭთან ცხოვრობდი?

ლალა: - რატომ?

ჩიო: - მერავიცი, რატომ, მე მეკითხება?!.. ჰოოუ!.. ფრუტ-ფრუტ-ფრუტ.

ლალა: - ტრა-ტრა-ტრა.

ჩიო: - ამას ~~ტრა~~ სკლეროზი აქვს.

ლალა: - ვისა? ^{მეაღი}

ჩიო: - აქ ერთი რო არის... ჯერ შენ ყველას არ იცნობ უუუ, ფრუტ-ფრუტ-ფრუტ.

ლალა: - დაიცა, სადა?

ჩიო: - იიი. აბა მოდი, ხელი გადამიწიე.

↓
ჩიო ხო ⁷⁹ბრატონი ვის სება.

ლალა: - რატომ?

ჩიო: - ~~განა... რა ჯანიანი ხარ!~~ აი მე პაპე პავოვი 123

ლალა: - ~~მეაღი... რატომ?~~ დიდი პაპიროსი, ჩიო ძალიან მონდომებულია, ~~მეაღი... რატომ?~~

ჩიო: - ~~განა... რა?~~

ლალა: - Bat tak!

ჩიო: - არ ჩაითვალა.

ლალა: - რატომ?

ჩიო: - იმიტომ, რომ შენ იდაყვს მაღლა ეწეოდი, ნააგე (~~მღერის ჩახ-ლეჩილი ხმით~~).

„ნაგებულო თხაო,

ნაგებულო თხაო,

წიხლი არა მკრალ.

წიხლი არა მკრალოო“.

ლალა: - იცი, რა გითხრა?!.. შენ ისა, რალაცნაირად რატატა-რატატა, რატომ?

ჩიო: - ოო, გაბრაზდა, გაბრაზდა, ჰა-ჰა-ჰა.

ლალა: - შენ იცი, რაა?! ჰმ! Кто она такая?

ჩიო: - ბუტია?! ბუტია?!.. ეხლა იცი, ვის გავხარ? გიგიშას, აი, ზუსტად გიგიშას, რომ გამებუტება.

ლალა: - ვინა?

ჩიო: - ვინადა, გიგიშა არ იცი? ჩემი შვილის-შვილის-შვილის შვილი, სათა-მაშოს რომ წავართმევ... ჰა-ჰა-ჰა ბუტია! ბუტია!.. „სახლიდან გავი-და ერთი ბუტია და აღარ დაბრუნებულა, თუ ვინმემ ნახოთ“... (~~ვითომ „ხუმრობს“~~). გიგიშა ესე მოვა ხოლმე, წინ დამიდგება, თავს ჩალუნავს და ტუჩებს გაბზიკავს (~~გიგიშას თამაშობს~~). ვეუბნები: - იცოდე, თუ არ მირიგდები, ჩემსკენ არც გამოიხედო, გაიგე?!.. დგას, დგას, დგას და მერე ჩუმ-ჩუმად გამოაპარებს ქვემოდან თვალს. აბა, აბა! თითს დაუჭენვ, ჩასწევს თავს, მერე ისევ, ჩასწევს, მერე ისევ...

ლალა: - მოიცა, მოიცა, ვინა?

იო: - გიგიშა. მერე ამოვიღებ კანფეტს და ასე ვაკეთებ. - ვისაც ჩვენთან
თამაში უნდა, აიღოს კანფეტი. ესე ვიქნევ ხელს, ერთი, ორი, სამი,
უცებ ჰუპ! და გარბის, გარბის, გარბის.

ალა: - აბა, ერთი, ვინა?

იო: - გი-გი-შა! ვაა, რა ვინა, რა ვინა? ეხლა ბოლოს რომ იყო მოსული...
ვაი! (გაჩუმდება და თვალეები გაუფართოვდება) ჩქარა! დავიმა-
ლოთ, აქეთ მოდიან, ჩქარა! ჩქარა! (თვითონ სკამის ქვეშ შეძვრა,
ალა ცმას მიბაძავს.)

ალა: - რა არი?... რა არის? მეშინია...

იო: - ჩუუ, ხმა!.. იცოდე, თუ დაგვიჭირეს, შენ იტყვი, რომ შენ წამო-
მიყვანე... ხო იტყვი?

ალა: - ვიტყვი.

იო: - აბა, როგორ იტყვი?

ალა: - კარგად.

იო: - წავიდნენ... (გამოდვრება და მუხლებს ჩამოიბერტყავს.)

ალა: - ვინაა?

იო: - მე რა ვიცი.

ალა: - ჩაი არ გინდა? მე - კი.

იო: - მინდა, ოღონდ შაქარს მე თვითონ ჩავიყრი, გუშინ ტკბილი იყო,
არ გითხარი.

ალა: - რატომ?

იო: - რატომ და მატრაკვეცანუ ხარ, მერამდენიც მინდა, თვითონ ჩავიყრი.

ალა: - კი ბატონო, ვააა!..

იო: - რა ვააა? შენ არ ჩამიყარე? ეხლა ყველამ თვითონ ჩაიყაროს თავის
ჭიქაში.

ალა: - მინდა ჩაი.

იო: - შენ ისა თქვი, თუ ველარ ვიპოვეთ სახლი, მაგრამ ნუ გეშინია, ჩვენს
ფოტოებს ტელევიზორში აჩვენებენ, შეიძლება ხეებზეც იყოს უკვე
გაკრული, აბაა!.. ნეტა ჩემი რომელი ფოტო წაიღეს?... ეჰ, ეგ სულ
ალარ გამხსენებია სიჩქარეში.

ალა: - შენ... ისა, შენ რა გქვია?

ჩიო: - ჰმმმ! ეხლა ნოგინდა ჩემი გაცნობა? არ გეტყვი.

ალა: - მართლა, მართლა, კაი რაა!..

ჩიო: - მე, ჩიორა.

ალა: - ეჰ! კარგია.

ჩიო: - ჩიტო-ჩიორა, ასე მეძახოდა დედაჩემი, ჩიტო-ჩიორააა.

ალა: - კარგია, ჩაი არ გინდა? ჩიტი-ჩიო.

ჩიო: - ან ჩიო დამიძახე, ან ჩიორა, გაიგე?

ალა: - კარგია, გინდა ჩაი? მე - კი.

ჩიო: - არა უნავს, ცოტა მოითმინე, არაფერი მოგივა, რა სუ ჩაი-ჩაის
გაიძახი, თათარი ხარ?

ალა: - რატომ?

ჩიო: - რატომ და იმიტომ, რომ ჩვენი სახლში დაბრუნება ჯერ არ შეიძლება.

ალა: - მართლა, უუუ, იიიი...

ჩიო: - იქ ეხლა მთელი მილიცია-პოლიცია-მეზობლები... სასწრაფოები...

ალა: - მართლაა? სადა?

ჩიო: - სადა? სადა და ჩვენთან სახლში. მთელი ღამე სახლში არ ვიყავით
(თითებზე ითვლის), თითქმის თორმეტი საათია, დაკარგულები
ვართ.

ალა: - მართლაა?

ჩიო: - აბაა? შენ რო ღამე არ გეძინება, სხვაც ეგრე ~~მე გეძინება~~.

ალა: - მეძინება.

ჩიო: - ეხლა მეც მეძინება, მაგრამ ჯერ არ შეიძლება, ჯერ ერთი კარგად
უნდა დაგუფრთხოთ ანგელოზები.

ალა: - ვისა?

ჩიო: - შენ სკლეროზი ხომ არ გაქვს? ფრუტ!..

ალა: - ამას უყურე, რაა? ჰა-ჰა-ჰა.

ჩიო: - მიყურე (დაამთქნარებს).

ალა: - ჩაი მინდა, არ შეიძლება?! (ისიც დაამთქნარებს.)

ჩიო: - ვერ უნდა მიხვდე?... შეიძლება ყველანი გულნასულები ყრიან ძირს
და ვერ ასულიერებენ.

ალა: - აბა, ერთი მითხარი კარგად, ვინა?... მე ვერ გავიგე...

ო: - უიმევეე! რამდენჯერ უნდა გითხრა, ყრუ ხომ არა ხარ?

ალა: - აბა, აბა, ძალიან გთხოვ, მერე, მერე?

ო: - იცი, სად მოგიყვანეს?

ალა: - კი, მერე, კარგია.

ო: - კი, ჯერ ორი დღეა და მოგეწონება, მა რა იქნება?!... საქმელი არ გაკლია და სასმელი.

ალა: - ძალიან კარგი.

ო: - რა არის კარგი, მასე კატეგორია ჰყავთ.

ალა: - უი, მიყვარს, როგორ მიყვარა?!...

ო: - იცოდე, კატას არ მოგაყვანიდნენ, მე არ მიყვარს კატები.

ალა: - უი, მე, იცი, რამდენი?! უჰ, ბევრი. ეგეთი კ. ეგეთი, ისეთი, ისეთი, უუუ.

ო: - არაფერი გაგიუა, არც მე მიყვარს კატები და არც გიგიშაა, მენ თუ გინდა, დარჩი, კატას არ მოგაყვანიდნენ.

ალა: - რატომ?

ო: - ეა, ძალაზე ხარ? არ მიყვარს და...

ალა: - მიყვარს, ძალიანაც, მერე რა?

ო: - გიყვარს, არა?... იმ კატებს ეფერებიან მაინც, ხელს გადაუსვამენ, გაუბრაზდებიან ან...

ალა: - უი, როგორც მიყვარს, აი ესე... ისე...

ო: - იცი ჩემთვის... რამდენი ხანია ჩემს შვილს არ უკოცნია?... ერთი?... ხუთი?... ათი წელი, შეიძლება მეტიც.

ალა: - არა?! მე მწუხრე, მწუხრე ესე მაკოცა... ძალიან კარგად... ყველაფერი.

ო: - შენ გაკოცა?

ალა: - კი!

ო: - მასე მეც მკოცნის, ახალ წელს, დაბადების დღეზე, როცა სადმე მიემგზავრებიან დიდი ხნით, ან ბრუნდებიან... ჰმ! აკოცა?!...

ალა: - კარგია.

ო: - ისიც, თუ შევხვდი მაგ დროს. ხან ისე გავა... რა ვიცი, რამდენი დღე, რომ ვერც ვნახულობ.

ალა: - რატომ?

ჩიო: - გაიგებ რატომაც?... მოგინდება დალაპარკება, ხან სიცილს გაიგონებ, ხან სიმღერას... ხან ჩხუბიც ისმის...

ლალა: - ~~უნა~~?... ჩხუბი არა, არა.

ჩიო: - რაც უნდა ჩუმიად გაფრატუნდე, შუა გზაში, რომელიმე შემოგხვდება და ძალიან ზრდილობიანად შეგეკითხება:

- დედა, გინდათ რამე?...

- ვნუშობთ...

- ჯობია დაიძინოთ...

- ჯობია დაისვენოთ...

- ჯობია... ჰმ!... საერთოდ... (ხელს ჩაიქნევს.)

ლალა: - მერე შენც თქვი, რომ... აი ეს ესე! ეს ისა! და ეს ისა! აი?!... ჰო, вот так!

ჩიო: - ამას უყურე, რა... ვთქვა?

ლალა: - ჰო.

ჩიო: - ვთქვი!

ლალა: - კარგია.

ჩიო: - რაღა უნდა ვთქვა, ყველაფერი მაქვს... საუზმე, სადილი, ვახშამი, პირველი, მეორე, მესამე, მეათე... ხილი, ნამცხვარი, ტორტის ამხელა ნაჭერი, ბოლომდე ვერასოდეს ვერა ვჭამ, ~~რა ვჭამ?~~

ლალა: - უჰ, კარგია, არ გინდა ჩაი? მე-კი.

ჩიო: - არა-მეთქი. შენც ყველაფერი გექნება, ნამალი, ტელევიზორი, გარეცხილი, კიდე რა გინდა? ~~ოცა რა გინდა?~~

ლალა: - ისა... აი ფუ... რა ქვია? აი, ესეთი რომ არის უჰ, არ იცი? აი ესეთი ისა... რომ... რომ.

ჩიო: - ამდენ ხანს არავინ მოგისმენს. გეტყვიან, მოიფიქრე და მერე გვითხარიო.

ლალა: - უი, რა კარგია.

ჩიო: - მიხვდი, ის პატარა მაგიდა რატომ შემოიტანეს?

ლალა: - რატომ?

ჩიო: - სამზარეულოშიც აღარ გავალთ... ისე, მაინც მარტო ვსადილობდი... იქნებ ასეც ჯობს... მე და შენ... აი, ეხლა გვეძებონ და რეკონ მილიციაში. ჰა-ჰა-ჰა.

ლალა: - ვაიმე, მეშინია, მილიცია რატომ?

ჩიო: - რისი გეშინია, ჩვენ რომც დაგვიჭირონ, მაინც არ ჩაგვსვამენ ციხეში.

ლალა: - კარგია! აბა რა...

ჩიო: - ეხლა შენი ბიჭი, აი, ასე იპუტავს თმებს: „ვაი, ვაი, დედა დავკარგე, მიშველეთ! მიშველეთ! დედა დავკარგე!“

ლალა: - რატომ?

ჩიო: - აბა რას იზამს, ორი დღეა, რაც დედა თავისთან გადმოიყვანა და ფაფუუ! უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ფაფუუ!

ლალა: - მამოხვე?! შეიძლება სარკე?

ჩიო: - კიდევ სარკე გინდა, ცაცო? ან ტელევიზორი? (შორიდან მილიციის მანქანის გაბაყრუებული ხმა გაისმა.)

ლალა: - მიმიცო, რაა?!..

ჩიო: - ვაიმე! ეს ან მილიციაა, ან სასწრაფო (ტაშს შემოჰკრავს), ესეც ესეე...

ლალა: - ესეეე (ისიც შემოჰკრავს ტაშს), მომეცო?..

ჩიო: - აბა, არ გამოიტყუო, მოიცა... (ჯერ თვითონ ჩაიხედავს სარკეში და დაამთქნარებს).

ლალა: - აქ ტუალეტი... არის?

ჩიო: - მერა ვიცო?!..

ლალა: - მინდა.

ჩიო: - (იხედავს მინდას, ჩიო დაიძაბება.) შენ ხომ არ გგონია, შორს ვართ, აი, ამ ღობის იქით მოკლევადი და ჩვენი სახლიც აქვეა.

ლალა: - მართლა?!.. აბა?!..

ჩიო: - ესე მხვეულ-მხვეულებით გატარე.

ლალა: - ნნუ, ნნუ, ნნუ (ნაოჭს თითს გააყოლებს), ნიხეიო?!.. ეეჰ...

ჩიო: - აბა, მაჩვენე? მე რომელი ვარ? (ორივენი ერთად იყურებიან სარკეში, ხან ერთი ამთქნარებს, ხან მეორე).

ლალა (გვერდზე დაიდებს ხელს): - აი... აქ... რაღაც...

ჩიო: - გტყვი?

ლალა: - ხო, იცი, რატომ?

ჩიო: - მიდი, აბა, ერთი იმათ უთხარი...

ლალა: - ვისა?

ჩიო: - არც მოგისმენენ, არა, როგორ არ მოგისმენენ, თქმასაც ვერ მოასწრებ, ექიმი დაგადგება თავზე, ჯობია, იმას მოუყვე... რა თქმა უნდა, ავადმყოფს ექიმმა უნდა მოუსმინოს.

ლალა: - კარგია.

ჩიო: - კარგია, კარგია, აბა ნახე, რა დღეში არიან პენსიონერები?..

ლალა: - ოი, ოი, ოი, იცი?..

ჩიო: - გინახავს, ნაგავში როგორ იქექებიან?

ლალა: - კი, კი, ნნუ, ნნუ, ტელევიზორშიც...

ჩიო: - ნეტა რამეს რომ პოულობენ, მარტო ჭამენ. თუ... შეიძლება ჰყავთ?

ლალა: - კი, რატომაც არა?!

ჩიო: - ისე რა... ახალგაზრდებიც...

ლალა: - პატარა, აი, ეგეთი... ისეთი ლამაზი, ლამაზი, ესეთი თვალები... თმები, ნნუ, ნნუ... ტელევიზორში...

ჩიო: - შო, შეიძლება მოვლით უფროსი საჭმელს ნაგავში ეძებს, მერე სახლში მიიღებს და ერთად ჭამენ... ერთი ოთახი აქვთ და... შეიძლება, ოთახიც არა აქვთ და სადმე კიბის ქვეშ არიან შეყუჟულები... ერთად, ერთად!

ლალა: - აბა რაა... ნნუ.

ჩიო: - რაც კარგია, იმას ბავშვებს მისცემენ, არა?!..

ლალა: - არა, რატომ?.. იცი რაა? (ყურში ერურჩულება, როგორც ჩანს ტუალეტში უნდა.)

ჩიო: - აი, იქით წადი, ბუჩქის უკან, აი, იქ, ხედავ?

ლალა: - რატომ?

ჩიო: - ეე? მაშ აქ სად მოგიტანო ბუჩქი?

ლალა: - აა? ძალიან კარგი. ტრა-ტა-ტა (გადის. ჩიო მარტო რჩება, დაამთქნარებს და ცოტა ხანში ჩაეძინება, ლალა ბრუნდება, ხელში ფოთლები უჭირავს).

ჩიო: - ააა! (შეშინებულს ეღვიძება, მის კივილზე ლალასაც შეეშინდება.)

ლალა: - ააა! ააა!

ჩიო: - ააა!

ლალა: - ააა!

დ. ილი ყვავილ გვრგინი

ჩიო: - ეს რა ხუმრობაა?! ეს რა ხუმრობაა?

ლალა: - რატომ, კაცო?

ჩიო (უყვირის): - რატომ? მოიცა შენა, შეშინება როგორ უნდა, გაჩვენებ!

(ჩემად სხედან სკამზე. ლალა გაიწევა. ჩიოც დემონსტრაციულად გაიწევა. ლალა ფეხების ქნევას დაიწყებს, ჩიოც, მერე ფეხებს გაჰკრავს.)

ჩიო: - გინდა, მაგარი რამე გითხრა?

ლალა: - მართლა? *უბრალოდ*

ჩიო: - მართლა, ... ჰა?! ჰა-ჰა?! ტუ! ტუ! ტუ!

ლალა: - ტა! ტა! ტა!

ჩიო: - მე ქალიშვილი ვარ! ტუ! ტუ! *უბრალოდ აუუ*

ლალა: - ოჰო-ჰო, კარგი, კარგი.

ჩიო: - იმახე ოჰო-ჰო და იყავი, ეგ ჩემი არ არის. ავიწყნე, ანა ჯაითვალე, ორმოცდათორმეტი წლისა როგორ გავაჩენდა? ნნუ. გვაც შენ!

ლალა: - ტორტი მოსცე? ისეთი? უჰ, კარგი, არა? *ნაწილი, არა?*

ჩიო: - მაიცა, რა დროს ტორტია.

ლალა: - რატომ?

ჩიო: - არ არის! ერთი შენ მითხარი, ბევრი კაცები გყავდა?

ლალა: - რატომ?

ჩიო: - არა, ბიჭო, ისე გაჩერდებოდი?!

ლალა: - მართლა?

ჩიო: - დიახაც, მართლა.

ლალა: - კარგია. *ახე მაგარი აქცენტა ხეი ჰომოში ზომ წილ*

ჩიო: - გამოტყდა (ლალა თითქმის დაიხედავს, მერე მაღლა ასწევს ხელს და ისე შეათვალა იმერებს, რამ-ჰამ-ჰა-მჰა, რამ-ჰამ-ჰამ-ჰამ - „გედების ტბიდან“ მელოდისა ლილინებს და ხელს აყოლებს).

ჩიო: - სპექტაკლში მყავხარ ნანახი... მგონი, შენ იყავი.

ლალა: - მართლა, კაია, ... რამ-ჰამ-ჰამ-ჰამ პა (აგრძელებს). *სიი ეო*

ჩიო: - მეც კი დავდიოდი ბაღეცხე, არ გჯერა? გინდა, შპაკატში ჩავჯდე? გაინი... (ცდილობს სკამზე შპაკატში ჩაჯდომას) ოო, ესლა არ მაცვია ისე...

სახი ნუ აწაოვ
87

ლალა: - უი (დაამტკნარებს), მეძინება.

ჩიო: - ცოტა მოიცადე.

ლალა: - მოიცა რა, სარკე? *მე მომდევნა*

ჩიო: - არა, გეყოფა... ზედმეტი არაფერი ვარგა...

ლალა: - ჰე! *მოყ მოყ ზეი ჰივეი ჰაი ის ანა ებ ზეი ჰაი*

ჩიო: - ... იცი, ანდრო როგორი იყო?.. ესე რომ შემოგხედავდა და შემოგანათებდა ცისფერ თვალებს... შენც ცისფერი თვალები გაქვს, არა?... კი...

ლალა: - აბა!.. ცისფერი თვალები, ტრა-ტა-ტა (ისე დაამტკნარებს).

ჩიო: - კარგი, ახლა არ დაიძინო... გესმის? არ დაიძინო (დაამტკნარებს და თვითონ ჩაეძინება).

ლალა: - ამას უყურე, რაა? უი, რა კაია, სარკე ძეიილება? (ლალა ლილინებს, სარკეში იყურება, ჩანთა ეარდება და ძირს იყრება, რაცშიც ალაგია. ლალა სასწრაფოდ აწყობს უკან, ნახევარი ძირს რჩება. ისევ სარკეში იყურება, უცებ ძირს დაგდებულ ფოტოს შენიშნავს და აიღებს.)

ლალა: - Ой. Андрей. ნნუ, ნნუ, отааа?! (ფოტოს დააცქერდება, ეშმაკურად ელიშება, გაღმრატოვლებს და დამარცვლით იწყებს კითხვას).

ლალა: - „აბ-ლა კი-არა...“

ოდეს-ლაც მყავ-და

ვინც ქალ-ღმერთს-გავდა...“

რა-ტა-ტა-ტუ-ტუ-ტუ,

ფუუ, мадонна (მოისვრის სურათს. უცებ აწკრილდება ტელეფონი.

ჩიოს შეშინებულს ეღვიძება. ორივე წამოხტება. ზარი რამდენჯერმე გრძნობა და გაჩერდება).

ჩიო: - აქ იყო?

ლალა: - აბა, სადა?

ჩიო: - შენ გაქვს?

ლალა: - მაქვს.

ჩიო: - რა გაქვს?

ლალა: - რა მაქვს?

ჩიო: - ტელეფონი?

ლალა: - არა.

ჩიო: - როგორ არა? (ისევ გაისმება ტელეფონის ზარი. ახლა უკვე ჩიო იწყებს აქტიურად ძებნას, როგორც იქნა, იპოვის ლალას უაქეტის ფიბეში. ამოიღებს და ცხვირთან მიუტანს.)

ჩიო: - ეს რა არის?

ლალა: - აბა?

ჩიო: - ეეე, ეს ხომ ჩემი შვილის მობილურია?! კი, ნამდვილად, შენ საიდან გაქვს?

ლალა: - არა.

ჩიო: - რა არა, მოიპარე?

ლალა: - რატომ, კაცო?

ჩიო: - აბა, შემთხვევით აიღე?

ლალა: - კი, არა.

ჩიო: - კარგი, კარგი, ეხლა ამას უხსენი, ეს გვინდოდა?

ლალა: - რა?

ჩიო: - იფიქრებენ, რომ გავეჭურდეთ და ისე გამოვიქეცით, ეჰ (ტელეფონს ატრიალებს ხელში).

ლალა: - რა არის?

ჩიო: - ტელეფონი! ტელეფონი! ჩემი შვილის. ეტყობა, აივანზე რომ გაგიშვი, იქილო მაგიდაზე.

ლალა: - იდო, ჰა-ჰა-ჰა.

ჩიო: - კიდევ რა ნამოილე?

ლალა: - რატომ?

ჩიო: - მაჩვენე, მაჩვენე (ფიბეებს ამოუტრიალებს). ვაიმე?!.. საათი, სარეცხი „შპილკები“, ეს რაღად გინდოდა? („შპილკებს“ ტანსაცმელზე მიუმაგრებს.)

ლალა: - მეეე? ჰმ! არაფერი, просто красиво.

ჩიო: - იცი დარეკვა?

ლალა: - კი.

ჩიო: - აბა მიდი, დარეკე! (მიაწუდის მობილურს. ლალა უაზროდ აჭერს ხელს ლილაკებს. ჩიო გამოართმევს და ყურთან მიიტანს.) - გასულია მომსახურების ზონიდან.

ლალა: - ვინა?

ჩიო: - ვინა? შენ დაურეკე.

ლალა: - კარგია! (ხედავს, რომ ლალა სასაქონლოა და სხვა).

ჩიო (ჩივიდან ლილაკებს ხელის დაჭერას და ლალას ანიშნებს): - ჩუუ!

ლალა: - რა არის?

ჩიო: - მგონი, ჩემი გოგო იყო, კი, სახლში დავრეკე, აი, ამას დავაჭირე.

ლალა: - მერე, მერე?

ჩიო: - ალო, ალო, ალო, გისმენთ და ტუ, ტუ, ტუ... მოიცა, მოიცა, კიდევ უნდა დავრეკო (ისევ დააჭერს ლილაკს). ჩუ! (გასუსულია კარგახანს და იწყებს ხითხითს) ეხლა მე ვიცი, მაგათ რასაც ვუზამ, დამაცადონ!

ლალა: - აბა, მერე?

ჩიო: - ვითომ... მე ვარ ჩემი დაქალი, ხმას შევიცვლი და ვეტყვი: თუ შეიძლება ჩიოს სთხოვეთ? ხო კარგია?

ლალა: - ხო, კარგია.

ჩიო: - უჰ! ხედავ, სამსახურშიც აღარ ნასულა. რას ნავიდოდა, შენი ბიჭი შეიძლება საერთოდ გულნასული გდიაძირს. კი, კი...

ლალა: - კი.

ჩიო: - ეხლა სუ, ხმა არ ამოიღო (რეკავს) ლალას მოხსნის „შპილკას“ და ცხვირზე მიიმაგრებს: გამარჯობათ, მე ელისო ვარ, ჩიორას მეგობარი, კლასელი. თუ შეიძლება, სთხოვეთ ჩიორას? რაა?... სძინავს? კარგად ბრძანდებოდეთ

ლალა: - რა არის, ეი, გოგო, რა არის, მითხარი.

ჩიო: - არც გაუგიათ. სძინავსო.

ლალა: - Ну спит человек?!

ჩიო: - არც შეუხედავთ ოთახში.

ლალა: - ოთახში, ოთახში, ტორტი, ჩაი, ნავედით.

ჩიო: - არსადაც არ ნავალთ!

ლალა: - რატომ?

ჩიო: - აი, ეგრე! აქ დავიძინებ აქ გავიღვიძებ, და აი, აქ უნდა მოკვდე!

ლალა: - კარგი რაა... ნამცხვარი... იცი რა?!..

ჩიო: - არა! ნამცხვარს ხელსაც არ ახლებ. ერთი დღე ვერ შეამჩნევენ,

მეორე, მესამე, ბოლოს აცროლდება და სუნი მაინც ხო შეაწუხებთ?...
გაიწი, მე არსად არ მოგდივარ, აქ უნდა დავიძინო!

ალა: - გიჟო!

ო: - ვინ არის გიჟი?

ალა: - წამიყვანე, გიჟო, რა გინდა?

ო: - მიბრძანდი!.. მე არ გიჭერ! აი, ეს ~~ნახევარი ჩემი ტერიტორიაა~~,
ჩანთა გამყოფი იყოს!

ალა: - გეხვეწები (ხმაში ტირილი შეეპარება).

ო: - არაფერი არ გაგივა, ფრუტ-ფრუტ! შენ არ იყავი? ფრუტ-ფრუტ!

ალა: - Дурак! აბა ჩქარა ეხლა... ამას უყურე ერთი!

ო: - მიყურე!

ალა: - აქ არ მინდა, ცივა... აჩეკაო

ო: - არაფერიც არა ცივა, ეხლა წამოვწვები და კარგ ძილსაც გამოვაცხობ.

ალა: - ააა? გაგიჟდა.

ო: - დიხნაც, გავგიჟდი (ჩიო-მკვეთრ მოძრაობას გააკეთებს და სკა-
მიდან გადავარდება, აღარ დგება, არც ინძრევა).

ალა: - ვაიმე, ვინ არის? ვაიმე დედიკო... ნწუ, ნწუ, ცუდად... ეს როგორ
შეიძლება, აბა ხელი, მოდი, დედიკო, ნწუ, ნწუ!..

ო (კენესის): - აა... აა... (ალა რის ვაი-ვაგლახით წამოაყენებს ჩიოს
დასკამზე დასვამს, მტკერს ჩაუბერტყავს.)

ალა: - გეტკინა, დედიკო? (ეფერება, კოცნის.)

ო: - აი, მტკივა აქ (ფეხზე მოიკიდებს ხელს.)

ალა: - აბა, აბა, სად? ოი-ოი-ოი.

ო: - ნელა, ნელა, მტკივა.

ალა: - საწყალი... წამოდი, წამოდი სახლში... დაისვენე (ეფერება).
რატომ?!.. რატომ?! ეჰ... მოდი, დედიკო, წაგიყვანო.

ო: - შენ რომ გზა არ იცი?

ალა: - არ ვიცი.

ო: - აბა, როგორ წამიყვან... არც წამოვალ.

ალა: - დედიკო, არ შეიძლება, ეს ცუდია, ექიმი აუცილებლად... ძალიან
ცუდია.

ჩიო: - არა! რეებს ბოდავ?... მთელი ღამის გარჯა ტყუილად გინდა წყალში
ჩაგდართო?

ლალა: - მეძინება.

ჩიო: - რიგრიგობით დავიძინოთ. *აიტიე შიე*

ლალა: - არა, სახლში მეძინება.

ჩიო: - სახლში? ჰმ!.. შენც ძალიან გელოდება სახლში ვინმე... *ვაიმე?!..*
(გაშტერდება.) *დაიქცა*

ლალა: - რა არის?... რა არის?..

ჩიო: - ვაიმე!.. ამდროს რატომ იყვნენ სახლში, თუ არ გაუგიათ ჩვენი გაპარ-
ვა... ა? რატომ იყვნენ?... ამდროს სამსახურში არიან (წამოდგება).

ლალა: - რა იყო? რა იყო, მითხარი, რა?..

ჩიო: - თორმეტ საათზე სახლში რა უნდოდათ? ა? გამოვიჭირე თუ არა?...
თავს იკატუნებენ... რატომ არ მითხრეს არაფერი?

ლალა: - ყველაფერი კარგად... აი, ნახავ, ყველაფერი, წავიდეთ დედიკო...

ჩიო: - ვაიმე, დავიღუპე!

ლალა: - ნახე მიწ!

ჩიო: - ოთხშაბათი... ხუთშაბათი... თორმეტი - პარასკევი... დავიღუპე!
შაბათი ყოფილა... მოიცა (კიდევ ერთხელ გადაითვლის თითებზე)
კი, ნამდვილად შაბათია. ჩქარა! ჩქარა!

ლალა: - რა უნდა ამას?!

ჩიო: - შაბათია, გაიგე, შაბათი, დღეს გიგიშას მოიყვანენ, ჩქარა წავედით.

ლალა: - სად?

ჩიო: - სახლში. ის ეგრევე ჩემს ოთახში გამოიქცევა და დაიყვირებს: - „ჩიო,
მომეცი ჩემი მოტოციკლეტი“! მე ვეტყვი, რომ ბოროტმა ჯადო-
ქარმა წაიყვანა, მერე მივცემ პისტოლეტს, მე ხმაღს ავიღებ და...

ლალა: - რატომ? რატომ? ცუდია.

ჩიო: - გინდა, შენ ბოროტი ჯადოქარი იყავი, გინდა?

ლალა: - Нет, я спящая красавица!

ჩიო: - მერე მოვკლავთ ბოროტ ჯადოქარს და მოტოციკლეტსაც დავიბ-
რუნებთ.

ლალა: - როგორ? მართლა?

ჩიო: - წამოდი, წამოდი და ყველაფერს ნახავ. ჩქარა, ჩქარა, თორემ გიგიშა
 შეიძლება უკვე მოვიდა!.. ვაი! (ფეხზე დაიდებს ხელს.) *ქა ხა სანაა.*

ლალა: - კარგი, კარგი, მოდი, დედიკო (ლალა მხარს შეაშველებს, ჩიოც *ლალა*
 დაეყრდნობა და წალასლასდებიან). *ცაღამ აქეუა ზეშ გოგო*

ჩიო: - სარკე ჩადე? *აუ შნ გოგოს იან ზნაუ*

ლალა: - აბა?! კი! *აუ მაჩუა.*

ჩიო: - თუ დღეს არ მოიყვანეს გიგიშა, ხვალ აუცილებლად მოვა.

ლალა: - გინა, ვინა?

ჩიო: - ჩემი შვილის-შვილის-შვილი, მგონი, შენიც არის.

ლალა: - კარგია.

ჩიო: - იცი, როგორ ვერთობით?! ნუ გეშინია... ბმალს ისე, ოდნავ და-
 გადებ, ვითომ ბაბა იაგა იქნები.

ლალა: - Нет, я спящая красавица!

ჩიო: - ეს ორი დღე დავრჩეთ და მერე უფრო მომზადებულად წავიდეთ,
 ხო კაი იყო? უპ, უპ (ფეხზე). *გამოვიწარმო*

ლალა: - კი, დედიკო... ნელა.

ჩიო: - დედაჩემი სულ მეუბნებოდა, ფრთხილად იყავი, ფეხი არ მოიტეხო
 (ასკინკლით მიჰყვება ლალას), ფეხი არ მოიტეხოო...

ლალა: - გტკივა?

ჩიო: - ეხლაც გადავრჩი, აი, ეხლაც როგორ გადავრჩი?!..

ლალა: - კარგია, ჩიტო-ჩიო. *შნ გზიოქ სათა არა მკრე სწი*

ჩიო: - ხომ გითხარი, ან ჩიო დამიძახე, ან ჩიორა. დედაჩემი, იცი, როგორ
 მეძახდა? *ქაბა შნ გიშ მჩვედვა ვიოტ ვაჩიხ*

ლალა: - აბა? *იბუთო ირეკი. მაკიო*

ჩიო: - ჩიტო-ჩიო-რა!.. ჩიტო-ჩიორაა!..

(სიღრმეში გაუჩინარდებიან)